

# სამეცნიერო ჟურნალი

„*Scripta manent*“

საქართველო

№2 (10)

2011

ჟურნალი დაფუძნებულია  
ლია დიპლომატიის ასოციაციის მიერ



*Scientific magazin*

*Научный журнал*

*„Scripta manent“*

*GEORGIA*

*ГРУЗИЯ*

*Nº2 (10)*

*2011*

*OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION*

*АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ*

ISSN 1987-7390

UDK (ებ) 81+82

S-41

## სარედაქციო პოლიტიკა:

მათა ჩხეიძე

მთავარი რედაქტორი

რუსული თაგუქაშილი

მთავარი რედაქტორის მთავარი

ია ჩხეიძე

პასუხისმგებელი მდიგარი

## რედაქტორის წევრები:

ვიოლა ფურცელაძე, პას რუსიგრ ფლუპი, პულავა ბენგიტოვა, სილვია ბოტევა.

ტანა გრისეპერი, ელევან გაგულა, ია გურჯული, მარია მიხაილოვა.

ტატიანა გეგრელიშვილი, ალნა გრიგორი, ალესანდრა საადაშორა, გიორგი ყუბარაძე.

## მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, ქოჩაგას 77, კორპუსი VI, სართული VIII

ტელ. : 36 51 76

E-mail. : r.tabukashvili@gmail.com

ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი

E-mail. : k-kharazishvili@mail.ru

უკანალის ელექტრონული გერსია განთავსებულია ღია დიპლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:

[www.odageorgia.ge](http://www.odageorgia.ge)

**Editorial Board:**

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck,  
Kulpash Beibitova, Tania Grießhammer, Ketevan Gabunia, Ia Burduli, Maria Mikhailova,  
Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze

Address: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia  
Tel. : (995 32) 36 51 76  
E-mail: r.tabukashvili@gmail.com

Electronic version: [www.odageorgia.ge](http://www.odageorgia.ge)

**Редакционная коллегия:**

Маия Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук,  
Кульпаш Бейбитова, Тания Грисхаммер, Кетеван Габуния, Ия Бурдули, Мария Михайлова,  
Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Александра Спадафора, Георгий Купарадзе

Адрес: Ул. Костава 77, Тбилиси, Грузия  
Тел. : (995 32) 36 51 76  
E-mail: r.tabukashvili@gmail.com

Электронная версия: [www.odageorgia.ge](http://www.odageorgia.ge)

## რედაქციისაბან

უურნალი აქვეყნებს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ყველა მიმდინარეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს და ადგილს უთმობს აგრეთვე რეცენზიებსა და თარგმანებს.

პროფესიონალ ლინგვისტთა და ლიტერატურათმცოდნეთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა უურნალი მიზნად ისახავს ფილოლოგის, როგორც ერთ-ერთი ძირძველი ჰუმანიტარული მეცნიერების პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. უურნალის რედაქოლებია განსაკუთრებული ინტერესითა და უურადღებით ეკიდება დოქტორანტთა, მაგისტრანტთა და სტუდენტთა ნაშრომებს.

## სარჩევი

<b>ციური ახვლედიანი, ნონა რუაძე</b> ფრანგული ფრაზეოლოგიისა და ეთნოკულტურის ურთიერთკავშირი .....	9
<b>ქეთევან გაბუნია, ნათია დვინიაშვილი</b> სოციალური კლასები და ლინგვისტური ცვლილებები.....	14
<b>ქეთევან გაბუნია, ცისანა შერგილაშვილი</b> ენა და პოლიტიკა. ენობრივი პოლიტიკის საკითხისათვის.....	18
<b>ებატერინე გელოვანი</b> ფრაზეოლოგია ეფექტურ ვერბალურ კომუნიკაციაში.....	23
<b>რუსულან გოცირიძე</b> ინოვაციური ენობრივი განათლების ძირითადი მახასიათებლები.....	28
<b>რუსულან გოცირიძე</b> შულტიმედია და ინტერნეტ რესურსები როგორც სოციოკულტურული კომუნიკაციის ახალი ფორმა.....	32
<b>ნანა გუნცაძე</b> ა. რემბოს „ხმოვნების“ სონეტი.....	36
<b>ნანა გუნცაძე</b> როგორ წავიკითხოთ რემბოს „ერთი სეზონი ჯოჯოხეთში“.....	44
<b>მარინა ზორანიანი</b> ინგლისური ენის სპეციალური მიზნებისათვის (ESP) სწავლების პრობლემა ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისათვის .....	54
<b>ვიდას კავალიაუსკასი</b> -inti სუფიქსიანი ზმნების აქცენტის სისტემა ლიტგურ სტანდარტულ ენაში.....	58
<b>მარინე კობეშავიძე</b> მორფოლოგიური და სიტყვაწარმოებითი ანალიზის ურთიერთქმედებისათვის თანამედროვე ესპანურ ენაში .....	64
<b>დარეჯან ლაბუჩიძე</b> ქართული ზმნის სპეციფიკა და თარგმანის ადეკვატურობა.....	69
<b>თამარ მაჭაგარიანი</b> სიმეტრიული და კომპლექნირული კომუნიკაცია.....	74
<b>ლიანა ციმაძურიძე</b> 25-ე კადრის ფენომენის აკრძალვის მიზეზი.....	78
<b>ნინო ჭრიკიშვილი</b> პრერომანული ლინგვისტური სუბსტრატი ესპანურ ენაში.....	82
<b>სოფიკო ფეტელავა</b> მთარგმნელის როლი გლობალურ ბიზნესში.....	87
<b>ქეთევან ჯაში, ნათია აბაშიძე</b> სინონიმურ პარონიმთა ტიპები თანამედროვე ფრანგულ ენაში	92
<b>მარინე ჯაში</b> სიმრავლის ველი გერმანულ და ქართულ ენებში.....	99

## Contents

<b>Tsiuri A. Akhvlediani, Nona N. Rouadze</b>	
Interrelation of French Phraseology and Its Ethnoculture.....	9
<b>Ketevan U. Gabunia, Natia S. Gviniashvili</b>	
Social Classes and Its Lingual Changes.....	14
<b>Ketevan U. Gabunia, Tsisana G. Shergilashvili</b>	
Politic and Language. To the Lingual Politic Question.....	18
<b>Ekaterine A. Gelovani</b>	
Phraseology in Effective Verbal Communication.....	23
<b>Rusudan A. Gotsiridze</b>	
Main Characteristics of Innovations in Language Education.....	28
<b>Rusudan A. Gotsiridze</b>	
Multimedia and Internet Resources – New Forms of Socio Cultural Communication .....	32
<b>Nana P. Guntsadze</b>	
„Vowels“ Sonet by A. Rambo .....	36
<b>Nana P. Guntsadze</b>	
How to read „One Season in the Hell“ by A. Rambo.....	44
<b>Marina G. Zorianian</b>	
On Problem of Teaching ESP to students of Technical Higher Education Institutions.....	54
<b>Vidas Kavaliauskas</b>	
Stress system of Verbs with suffix -inti in Lithuanian Standart Language.....	58
<b>Marine Kobeshavidze</b>	
Morphological and Word-Formative Aspects Cooperation in Modern Spanish Language .....	64
<b>Darejan A. Laboutchidze</b>	
Specifics of a Georgian Verb and Translation Adequacy.....	69
<b>Tamar Sh. Matchavariani</b>	
Symmetrical and Complementary Communication.....	74
<b>Liana J. Tsimakuridze</b>	
The Resents of Prohibition 25th Frame Phenomenal.....	78
<b>Nino G. Chrikishvili</b>	
Pre-Roman Lingual Substrate in Spanish Language.....	82
<b>Sophiko N. Petelava</b>	
Role of Translators in Global Business.....	87
<b>Ketevan N. Djachy, Natia Abashidze</b>	
The Typology of Synonymic Paronyms in the Modern French Language .....	92
<b>Marina N. Djachy</b>	
The Field of Notion of Multitude in the German and Georgian Languages.....	99

## Содержание

<b>Циури Ахвledиани, Нона Руадзе</b> Взаимосвязь французской фразеологии и этнокультуры .....	9
<b>Кетеван Габуния, Натия Гвиниашвили</b> Социальные классы и лингвистические изменения .....	14
<b>Кетеван Габуния, Цисана Шергилашвили</b> Язык и политика. К вопросу лингвистической политики .....	18
<b>Екатерина Геловани</b> Фразеология в эффективной вербальной коммуникации.....	23
<b>Русудан Гоциридзе</b> Характерные свойства инновационного языкового образования.....	28
<b>Русудан Гоциридзе</b> Мультимедия и интернет ресурсы – новые формы социокультурной коммуникации .....	32
<b>Нана Гунцадзе</b> Сонет А. Рембо „Гласные“.....	36
<b>Нана Гунцадзе</b> Как прочесть „Один сезон в аду“ А. Рембо .....	44
<b>Марина Зорания</b> К проблеме обучения EPS студентов технических вузов .....	54
<b>Видас Каваляускас</b> Система акцента глаголов с суффиксом -inti в литовском стандартном языке.....	58
<b>Марине Кобешавидзе</b> Взаимодействие морфологических и словообразовательных аспектов в современном испанском языке.....	64
<b>Дареджан Лабучидзе</b> Специфика грузинского глагола и адекватность перевода.....	69
<b>Тамар Мачавариани</b> Симметричная и комплементарная коммуникация.....	74
<b>Лиана Цимакуридзе</b> Причины запрета феномена 25-го кадра .....	78
<b>Нино Чрикишвили</b> Пре-римский лингвистический субстрат в испанском языке .....	82
<b>Софико Петелава</b> Роль переводчика в глобальном бизнесе .....	87
<b>Кетеван Джашвили, Натия Абашидзе</b> Типы синонимических паронимов в современном французском языке .....	92
<b>Марина Джашвили</b> Поле множественности в немецком и грузинском языках.....	99

## სინონიმურ პარონიმთა ტიპები თანამედროვე ფრანგულ ენაში

ქვეუვან ჯაში  
იღლიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
რომანისტიკის დეპარტამენტი  
ი.ჭავჭავაძის პრ. 32, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ: 899 508 337  
E-mail: kdjachy@yahoo.com

ნათია აბაშიძე  
შოთა რუსთაველის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი  
ეკროპედიკის დეპარტამენტი  
ნინო შვილის გამზირი 35, 6010, ბათუმი  
საქართველო  
ტელ: 893 456 595  
E-mail: abanatia@yahoo.fr

### რეზიუმე

პარონიმია არაიდენტური გამოხატულების მქონე განსხვავებული ან მსგავსი მნიშვნელობების სიტყვათფორმათა ერთობლიობაა. მის სპეციფიკას შეადგენს ფორმისა და შინაარსის რთული ურთიერთობიმართება, აღნიშნულს თან ერთვის მეტყველებაში გამოყენების თავისებურება. ლექსემათა მსგავსების პრობლემა, რაც მათ არასწორ შენაცვლებას უკავშირდება, არღვევს ენის ნორმატიულ სტრუქტურას და შეცდომების კასკადს ქმნის. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა პარონიმთა ის ჯაუფი, რომლებიც უდერადობასთან ერთად მნიშვნელობის სიახლოვესაც აკლენს. ესენია ე.წ. სინონიმური პარონიმები. ტერმინი “სინონიმური” ვგულისხმობთ იმ პარონიმებს, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა: (fainéant / feignant ზარმაცი/უქნარა, უსაქმური; gourmet/gourmet ჭამის მოყვარული, გურმანი / დვინის დეგუსტატორი, გურმანი; s'adonner /

se donner თავის გადადება/თავის მიძღვნა). თუმცა ესეც მაცრ სიზუსტეს მოითხოვს. პარონიმთა ტიპებში სინონიმურ პარონიმებს ცენტრალური ადგილი უჭირავს. ის სამ ქვეჯგუფად იყოფა: სემანტიკური ერთიანობის მქონე სტილისტური პარონიმები (ასევე სტილისტურ-დიაქრონიული დიფურნიციაციის მქონე), სემანტიკურად ნაწილობრივ განსხვავებული პარონიმები და სემანტიკურ-სტილისტურად დიფერენცირებული პარონიმები. აღნიშნულ კვლევაში მოკლედ მიმოვინდავთ სინონიმურ პარონიმთა ტიპებს, პარაფაზის შემთხვევებს, განვიხილავთ ფრანგულ და ქართულ მაგალითებს, გამოვყოფთ მათ სტრუქტურულ მოდელებს.

### საკვანძო სიტყვები:

პარონიმია და სინონიმია, სინონიმური პარონიმები, სტილისტიკა, სემანტიკა.

### შესავალი

მეტყველების პროცესში ნებისმიერ გამონათქვამს საფუძვლად უდევს რეფერენციისა და პრედიკაციის აქტების ერთობლიობა. თუმცა ხშირად ადგილი აქვს შეუთავსებლობას სიტყვის ბგერით ფორმასა და ცნობიერებაში არსებულ ცნების მნიშვნელობებს შორის, რაც განაპირობებს გაუგებრობის ფენომენის წარმოქმნას. აზრის ბუნდოვანება კი უფრო მძაფრად შეიგრძნობა, როცა ლექსემებს მნიშვნელობის მსგავსებასთან ერთად უდერადობის სიახლოვეც ახასიათებს. ჩვენ აქ თანადროულად ვაწყდებით ორი ძირითადი ვექტორის – სინონიმიისა და პარონიმიის, როგორც ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ენობრივი მოვლენის გაერთიანებას სემანტიკური ნიშნის

მიხედვით, რასაც სინონიმურ პარონიმებს ვუწოდებთ. პარონიმთა (ბერძნულად *paronimos* “ახლო მდებარე, მსგავსი სიტყვები”) ურთიერთადრევისა და კონტამინაციის საბაბს იძლევა თვით ამ ენობრივი მოვლენის ორმხრივი სემანტიკურ-ფონეტიკური სიახლოვე. სიტყვათა სემანტიკურ სიახლოვეს სინონიმიასთან მიყვავართ, თუმცა სინონიმური მნიშვნელობები ყოველთვის არ გულისხმობს ორმხრივ ჩანაცვლებას. აქვე დავაზუსტებთ, რომ კვლევაში არ განვიხილავთ აბსოლუტურ სინონიმებს.

ჩვენი კვლევის ობიექტია ლექსიკური სინონიმები, რომლებიც შეიძლება „ურთიერთშენაცვლებადი იყოს, ეს. მათ შორის განსხვავებები შეიძლება ნეიტრალიზაციას განიცდიდეს გარკვეულ პოზიციებში, მაგრამ საზოგადოდ, სინონიმია „ურთიერთშენაცვლებადობას აუცილებლობით არ გულისხმობს; ამ უკანასკნელს ზოგჯერ დექსემათა თანახმარების წესები ზღუდვებს“ (გამყრელიძე 2003:366). მათი აზრობრივი ნიუანსების გამოვლენა ენის დრმა ცოდნას მოითხოვს. შევეცდებით დავადგინოთ ურთიერთკავშირი იმ პარონიმებსა და სინონიმებს შორის, რომლებიც სემანტიკური მიმართების ერთიანობით გამოირჩევა. ენაში აბსოლუტური სინონიმის არსებობა ეჭვის ქვეშ დგას, რადგანაც ყოველი სიტყვა ხასიათდება მნიშვნელობის განსაკუთრებული შეფერილობით, სტილისტური წყვილები მხოლოდ ნაწილობრივ ურთიერთშენაცვლებადია. ზოგ შემთხვევაში ჩანაცვლება ნორმატიულია, ზოგჯერ კი – სტილისტური და სემანტიკური ნორმების დარღვევას აქვს ადგილი. თუ დარღვევა გამოწეულია სიტყვათა თანახმიერების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსაუბრე შეცდომით აკეთებს შენაცვლებას და საქმე გვაქვს პარაფაზიასთან (პა-

რონიმთა აღრევა).

### **მირითადი ნაწილი**

სინონიმურ პარონიმებზე საუბრისას ტერმინში “სინონიმური” ის პარონიმული წყვილი მოიაზრება, რომელთა ლექსიკური მნიშვნელობები ერთმანეთს ემთხვევა და შესაძლებელია მათი ურთიერთშენაცვლება განსაზღვრულ მომენტში. მაგალითად:

***Oiseux / oisif* (უსარგებლო, უმოქმედო).**

ზედსართავი *oiseaux* გამოხატავს “გამოუყენობლობას, უმოქმედობას”, რაც ზოგადად აღნიშნული საგნის თვისებას წარმოადგენს, ხოლო *oisif* გვიჩვენებს, რომ ნივთი, რომელზედაც ესაუბრობთ, ამ კონკრეტული მომენტისთვის არის უსარგებლო. ადამიანზე საუბრისას “უქნარას, მცონარას” გულისხმობს; *oiseaux* დათინური ენიდან შემოვიდა “otiosus”, *oisif* კი შეგვიძლია მის დუბლებიდ მივიჩნიოთ, რომელიც ძველი ფრანგული სიტყვის “oisif” სახეცვლილი ვარიანტია.

un objet *oiseaux* – ნივთი, რომელიც ზოგადად გამოუყენებელია;

un objet *oisif* – კონკრეტული მომენტისთვის უსარგებლო ნივთი.

***Prolongation / prolongement* (გაგრძელება, გახანგრძლივება/დაგრძელება, გაფართოვება)**

*prolongation de congé* – შვებულების გაგრძელება,

*prolongation de terme* - ვადის გახანგრძლივება;

*prolongement d'un chemin* – გზის გაფართოვება;

***Valide / valable* (ვარგისი, კანონიერი, ძალაში მყოფი) ზედსართავში *valide* ხაზგასტულია საბუთის კანონიერება, სამართლებრივი მხარე, *valable* კი გულისხმობს დროისა და სივრცის საზღვრებსაც, თუმცა საბუთებზე საუბრისას *valable*-ს ემატება**

დროის მითითება. რაც შეეხება ამ ტერმინთა სხვა მნიშვნელობებით გამოყენებას: une personne valide – ქმედითუნარიანი პირი; მისი ანგონიმია invalid, რომელიც არაქმედითუნარიანის გარდა შემდეგ მნიშვნელობებს ითავსებს—ავადმყოფი, ხეიბარი. Une raison valable – სერიოზული მიზეზი; cet acte n'est pas valide / valable – ეს არ არის კანონიერი / მისაღები საქციელი. აქვე უნდა ავდნიშნოთ ის ფაქტიც, რომ სიტყვის valuable “ღირებულის, ფასეულის, საინტერესოს, შესანიშნავის” მნიშვნელობით გამოყენება ინგლისური ენის გავლენით არის გამოწვეული (ინგლ. valuable) და ამდენად, ამ შემთხვევაში ის ანგლიციზმია. ამ დროს უპრიანი იქნება გამოვიყენოთ მისი ფრანგული ეკვივალენტები: estimable, de valeur, de qualité, efficace, remarquable.

სინონიმურ პარონიმებში გამოიყოფა სამი ტიპი:

1. სემანტიკური ერთიანობის მქონე სტილისტური პარონიმები (ასევე სტილისტური ფერენციაციის მქონე);
  2. იდეოგრაფიული პარონიმები ;
  3. სემანტიკურ-სტილისტურად დიფერენცირებული პარონიმები (კუზნეცოვა. 1977: 10).
1. **სტილისტური პარონიმები** მოიცავს სტილისტურად განსხვავებულ სიტყვებს, ტერმინებს. სიტყვის არაადეკვატური გამოყენება არღვევს ენის ნორმატიულ სტრუქტურას და მეტყველებაში ის უხეშ შეცდომად აღიქმება, ამიტომაც ამ ტიპის პარონიმებთან განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს.

**lancement / lancer** (სპორტ. ტყორცნა / სროლა - ეს წყვილი სინონიმებად გვმოინება ქართულშიც, მაგრამ არ მოიცავს პარონიმიას);

შემდეგი პარონიმები განსხვავდება პოეტური და ყოველდღიური სტილის მიხედვით:

**odoriférant / odorant** (პოეტ. კეთილსურნელოვანი / სურნელოვანი - ანალოგიურია ქართულშიც);

**onduleux / ondulé** (პოეტ. ტალღოვანი / ტალღისებრი - ანალოგიურია ქართულშიც). ნეიტრალურ და სალაპარაკო სტილს შორის დაპირისპირება წარმოდგენილია წყვილში **enrager / rager** (სალ. მდგომარეობიდან გამოსვლა / გაცოფება, გაბრაზება).

საერთო მნიშვნელობის მქონე პარონიმები შეიძლება დიაქრონიული ასპექტითაც განსხვავდებოდეს, რადგანაც განსაკუთრებულ სტილისტურ შეფერილობას იძენს. მაგალითად:

**embobiner** გადატანითი მნიშვნელობით “გაცურებას, იოლად გამოსვლას” ნიშნავს, მას სშირად ენაცვლება ზმნა **embobeliner** იმავე მნიშვნელობით. ასეთივეა შემდეგი პარონიმული წყვილები:

**sécurité / sûreté** (უსაფრთხოება/ უსაფრთხოება, თავდებობა);

**affecté/affûté** (თვალთმაქცური / მოჩვენებითი, პრანჭია).

ჩამოთვლილთაგან პირველი პარონიმი მნიშვნელობას იფართოებს მეორის ხარჯზე. ზოგ შემთხვევაში პარონიმთა ჩანაცვლება ძველ გამოყენებას ანახლებს: სიტყვა **béant** ლექსიკონში გამოჩენისთანავე უპირისპირდება სინონიმური მნიშვნელობის ზედსართავს **bée** “პირდაღებული” და მუდმივად ენაცვლება ამ უკანასკნელს. დღეს კი ნორმატიულია ორივეს ჩანაცვლება კონტუქსტში **bouche bée / béant** (d'étonnement). დანარჩენ შემთხვევაში მათი ურთიერთჩანაცვლება შეცდომად ითვლება. ილუსტრირებული მაგალითებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ პარონიმულ ზეგავლენას ზოგჯერ მივყართ ფონეტიკურ სახეცვლილებამდე, მნიშვნელობის შეცვლამდე, და საბოლოოდ – ახალ სიტყვათა წარმოებამდე.

2. იდეოგრაფიული ანუ სემანტიკურად ნაწილობრივ განსხვავებული პარონიმები - სინონიმური პარონიმების მეორე ქვეჯგუფს შეაღენს და ერთმანეთისაგან არა სტილისტურად, არამედ მნიშვნელობის ნიუანსებით განსხვავდება. სემანტიკური გამიჯვნა ხდება მნიშვნელობისა და მისი მოცულობის (გამოყენების) მიხედვით. ნაწილობრივი დამთხვევის დროს პარონიმთა მნიშვნელობა ან დენოტატიურია, ან გადატანითი: *relâcher* (მოშვება, დასვენება, გათავისუფლება) გაიგივებულია ზმნასთან *relaxer* „გათავისუფლების“ მნიშვნელობით, მაგრამ მათი გაიგივება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, როცა *relaxer* გამოხატავს „მოდუნებას, მოშვებას“, რადგანაც *relâcher* „ყურადღების მოდუნებას“ გულისხმობს. ამ ტიპის სიტყვათა წყვილს შეგვიძლია პორობითად კონტექსტუალური პარონიმებიც ვუწოდოთ.

ქართულში შეგვიძლია, მაგალითად, მოვიხმოთ შემდეგი წყვილი.

**აგალებს / აგალდებულებს**, ერთ შემთხვევაში ისინი სინონიმებია და ნიშნავს – ვალად ადებს, მაგრამ მეორე შემთხვევაში ავალდებულებს – აკისრებს, იმას სთხოვს, რაც მას არ ევალება.

ჩანაცვლებადია შემდეგი ზმნებიც – *consommer / consumer*, რომელთა ისტორიაც ნათლად გვიჩვენებს პარონიმული აღრევის პროცესს. ორივე ზმნა ენაში XII საუკუნეში შემოვიდა. ადრე *consommer* გამოხატავდა „შეჯამებას“, *consumer* – „დარღვევას“, დროთა განმავლობაში, პარონიმული ატრაქციის შედეგად *consumer* იძენს „განადგურების, ჩაშლის მნიშვნელობას“, შემდეგ იცვლება „მოხმარება, ხარჯვის“ მნიშვნელობით. *consommer* კი იფართოებს მნიშვნელობას *consumer*-ს მნიშვნელობების შეთავსებით. მოგვიანებით *consumer* კარგავს ახალ მნიშვნელობას და ენაში მკვიდრდება

როგორც „ჩაშლა, დარღვევა, გაჩანაგება“. აქედან გამომდინარე, პარონიმული ატრაქციის შედეგად ორივე ლექსემა ევოლუციას განიცდის, უახლოვდება ერთმანეთს და იკვეთება მნიშვნელობის ნიუანსები. აღნიშნული პროცესის ეს ორფაზოვანი დინება დამახსასიათებელია სხვა პარონიმებისთვისაც –

**incroyant / incrédule** (ურწმუნო / არასარწმუნო, დაუჯერებელი, უნდო - ანალოგიურია ქართულშიც).

სინონიმური პარონიმების სემანტიკური გამიჯვნა შეიძლება შეეხოს მათი მნიშვნელობის მოცულობასაც. მოცულობის ნაწილობრივი დამთხვევა წარმოდგენილია წყვილში *plier / ployer* (მოდუნვა, ორად ბაქეცვა / გადაკეცვა - ანალოგიურია ქართულში);

**granuleux / grenu** (მარცვლოვანი / უხვმარცვლოვანი - ანალოგიურია ქართულშიც) და ა.შ.

სამეულში *impudence / impudeur / impudicité* (თავხედობა, კადნიერება / უტიფრობა / გახრწნა, გარყვნილება) მნიშვნელობების უარყოფითი შეფერილობა თანდათან ძლიერდება. ისინი ერთმანეთისგან კონტაციით (დადებითი და უარყოფითი შეფასებით) განსხვავდება, ამიტომაც შეგვიძლია ემოციურ-შეფასებით პარონიმებს მივაკუთვნოთ.

მოცულობის მიხედვით სინონიმთა ნაწილობრივი დამთხვევა შეიძლება გავიგოთ როგორც ერთი, უფრო ვიწრო მნიშვნელობის ჩართვა მეორეში:

**rayer / radier** (გახაზვა, ამოშლა, გადაშლა / სიიდან ამოშლა);

**sommelier / somnoler** (თვლება, უმოქმედობა/ ჩათვლება);

**funèbre / funéraire** (სამგლოვიარო, ბნელი, პირქუში / დამკრძალავი);

პარონიმულ ზეგავლენას, განხილულ მაგალითებში, მივყავართ მნიშვნელობის გაფართოვებამდე ან შევიწროვებამდე, ზოგჯერ კი პარონიმული აღრევის პროცესები ნორმად ფორმდება და ლიტერატურული ენის საკუთრება ხდება.

**3. სემანტიკურ-სტილისტურად დიფერენცირებული პარონიმები** – ამ ჯგუფის ლექსემები ურთიერთგანსხვავდებიან გამოყენების სისტირით, სინტაქტიკური (ლექსიკურ-სემანტიკური) ნიშნებით. თუ სინონიმები განსხვავდება როგორც სტილისტურად, ისე სემანტიკურად, პარონიმული აღრევა ხშირად ორმხრივი შეცდომაა და ერთდროულად არღვევს ორივე ლიტერატურული ნორმის კომპონენტს. ასეთი თავისებურებებით გამოირჩევა წყვილი *armes/armoiries* (გერბი / ჰერალდიკა);

*transparent / translucide* (გამჭვირვალე / შუქამტარი, გამჭვირვალე);

*biennal / bisannuel* (ორწლიანი – ორ წელიწადში ერთხელ/ორწლიანი);

*difficile / difficileux* (ძნელი/სამძიმო, მეწვრილმანე – ანალოგიურია ქართულში).

## დასკვნა

ამგვარად, სინონიმურ პარონიმთა შესწავლისას ძირითადად სამი ჯგუფი გამოიყოფა, თუმცა კვლევის შედეგად შეგვიძლია მასში ქვეჯგუფებიც აღმოვაჩინოთ (კონტექსტუალური პარონიმები, ემოციურ-შეფასებითი პარონიმები) და უფრო დეტალურად განვიხილოთ ისინი. პარონიმული წყვილები უმეტესად ერთი ეტიმოლოგიური საწყისის მქონე, სიტყვათწარმოებით (აფიქსაცია, სუფიქსაცია) მიღებული სიტყვათწორმებია, თუმცა შესაძლებელია მათ განსხვავებული ეტიმოლოგიური წარმოშობა გააჩნდეთ. ეს მოვლენა აერთიანებს როგორც ფორმალურ-ფონეტიკურ

პროცესს, ასევე სიტყვათა შინაარსს, რაც საშუალებას იძლევა პარონიმია შევუდაროთ სხვა ენობრივ მოვლენებს, მასში ჩავრთოთ ენის ფორმალური და შინაარსობრივი მხარე, კერძოდ, სინონიმია. ამ თვალსაზრისით, სინონიმური პარონიმები ის სიტყვებია, რომლებიც პოტენციურად შეიძლება ან სინონიმები იყოს და ან პარონიმები, მაგრამ არა ერთდროულად. ენის ლიტერატურული ნორმის მიხდვით ისინი სინონიმებია, არალიტერატურული ნორმით კი – პარონიმები. სინონიმური პარონიმები ერთგვარ მიკროსისტემებს ქმნიან, რომელთაც გარკვეულ შემთხვევაში თანაბარი მნიშვნელობები უდევს საფუძველად. სინონიმური პარონიმები მთელი პარონიმული სისტემის ბირთვს შეადგენს. როგორც სინონიმები ავსებს და ამდიდრებს ენას, ასევე პარონიმებიც უფრო მეტ ექსპრესიულობას, სიღრმეს და მრავალფეროვნებას ანიჭებს მეტყველებას.

## ლიტერატურა

1. გამყრელიძე თ. კიკნაძე ზ. შადური ი. შენგელაია ნ. (2003): “თეორიული ენათმეცნიერების კურსი”. თსუ
2. Dictionnaire des difficultés de la langue française, Larousse (1971): Paris
3. Dictionnaire encyclopédique. Hachette. (2002): Paris
4. Hinard A. (1989): Lamotte C., „A la découverte de notre langue“ Magnard. Paris
5. Кузнецова И. (1977): „Паронимия в современном французском языке“ Московский университет. Москва
6. Гвоздев А. Н. (1995): „Очерки по стилистике русского языка“ Москва
7. Степанов Ю. С. (1975): „Основы общего языкознания“. Просвещение. Москва

# **The typology of synonymous paronyms in the modern French language**

*Ketevan Djachy*

*Ilia's University*

*Romance Department.*

*32 Ilia Chavchavadze av. 32, Tbilisi, Georgia*

*Tel: 899 508 337*

*E-mail: kdjachy@yahoo.com*

*Natia Abashidze*

*Shota Rustaveli State University*

*Romances Studies Department*

*35 Ninoshvili av., 6010, Batumi, Georgia*

*Tel: 893 456 595*

*E-mail: abanatia@yahoo.fr*

## **Abstract**

The paronyms are the non-identical lexical items, which have the similar or different meaning. Its specificity appears in the contradiction of form and the expression, to which is added the difficulty of their use in the language.

The problem of the similarity of lexical items what is related to their faulty replacement, does not correspond to the normative structure of the language and it makes the cascade of faults.

The most considerable and important is the group of paronyms that express proximity in both pronunciation and meaning. The most misleading are the paronyms known as synonymous ones. In the synonymous term we suggest those the lexical meanings of which coincide and are replaced at the same time. But that requires exceptional caution.

The synonymous paronyms occupy the central place in the classification of paronyms. They are divided into three subclasses: stylistic paronyms having semantical similarity, partially similar paro-

nyms and semantically and stylistically differentiated.

In this research we analyse the types of paronyms, the cases of paraphasia, we study the examples of French and Georgian languages, we define their structural models.

## **Keywords:**

paronyms and synonyms, synonymous paronyms, stylistics, semantics.

## **Типы синонимических паронимов в современном французском языке**

*Джасии Кетеван Николаевна*

*Департамент романистики*

*Факультет гуманитарных наук и искусства*

*Университета Ильи*

*просп. И. Чавчавадзе 32, 0179 Тбилиси*

*Тел: 899 508 337*

*E-mail: kdjachy@yahoo.com*

*Абашидзе Натиа Гурамовна*

*Государственный Университет им. Шота Руставели*

*Департамент европеистики*

*ул. Ниношвили 35, 6010, Батуми, Грузия*

*Тел 893 456 595*

*E-mail: abanatia@yahoo.fr*

## **Резюме**

Паронимия является единством словоформ различного или аналогичного значения, имеющих неидентичное выражение. Ее специфику составляет сложное взаимоотношение формы и содержания, своеобразие ее использования в речи. Проблема схожести лексем, что связана с их неправильным замещением, нарушает

нормативную структуру языка и создает целый каскад ошибок. С этой точки зрения весьма примечательна та группа паронимов, у которых совпадает не только звучание, но и значение. Это т.н. синонимические паронимы. Под термином «синонимический» мы подразумеваем те паронимы, лексические значения которых совпадают: (*fainéant / feignant* - лентяй, бездельник; *gourmand/ gourmet* - чревоугодник, гурман / дегустатор вина, гурман; *s'adonner / se donner*- посвятить себя чему-либо или кому-нибудь). Однако и отмеченное требует строгой точности. Синонимические паронимы занимают центральное место в типах паронимов. Они делятся на три подгруппы: *стилистические па-*

*ронимы, имеющие семантическое единство (а также имеющие стилистико-диахроническую дифференциацию), семантически частично отличающиеся паронимы и семантико-стилистически дифференцированные паронимы.* В работе дается краткий обзор типов синонимических паронимов, случаев парофазии, выделяются структурные модели французских и грузинских паронимов.

#### **Ключевые слова:**

Паронимия и синонимия, синонимические паронимы, стилистика, семантика.